ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საქართველოს ისტორია/History of Georgia

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საქართველოს ისტორიის მაგისტრი/ Master of Arts in History of Georgia
სპეციალიზაცია: საქართველოს ისტორია/ History of Georgia

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ESTC კრედიტი - 4 სემესტრი. სამაგისტრო პროგრამაში 120 ESTC კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 20 ESTC კრედიტი ეთმობა პროგრამის ორივე მოდულისათვის სავალდებულო სასწავლო კურსებს. პროგრამას აქვს *ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის და წყარომცოდნეობის* და *ახალი და უახლესიპერიოდის საქართველოს ისტორიის და წყაროთმცოდნეობის* მოდულები. ორივე მოდული ამზადებს საქართველოს ისტორიის სრულფასოვან სპეციალისტს, ამავე დროს იძლევა პერიოდის მიხედვით ნიუანსირებულ ცოდნას. თითოეული მოდულისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა უდრის 70. აქედან ნახევარი ანუ 35 კრედიტი მოდის მოდულისათვის სავალდებულო საგნებზე, ნახევარი - არჩევით საგნებზე. არჩევითი საგნებისათვის განკუთვნილი კრედიტებიდან 10 კრედიტი არის თავისუფალი კრედიტი. ამ კრედიტების გამოყენება შეიძლება უცხოური ენის ან პროგრამის გარეთ კურსების (მაგალითად, მეთოდოლოგიური საგნების) ასარჩევად. 15 კრედიტის ფარგლებში შესაძლებელია საგნების არჩევა პროგრამის სხვა მოდულიდან. 30 ESTC კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს. საერთო მოდული აერთიანებს ოთხ კურსს. თითოეული სასპეციალიზაციო მოდულის სავალდებულო კურსების ოდენობა უდრის 7, ხოლო არჩევითი საგნების ოდენობა – 11. ამგვარად, საერთო ჯამში პროგრამა მოიცავს 40 კურსს.
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის- 120 ECTS კრედიტის შესრულება და უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:
პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს ისტორიის დარგში ფართო სამეცნიერო პროფილის მქონე სპეციალისტის მომზადებას და ეროვნული ისტორიის ღრმად შემეცნების გზით ისტორიკოსის კომპეტენციების განვითარებას. ამის პარალელურად პროგრამა სტუდენტს გააცნობიერებინებს პროფესიული ეთიკის წესებს, განუვითარებს სოციალური პრობლემებისადმი მოქალაქეობრივ დამოკიდებულებას. ეს მიზნები სავსებით შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და, კონკრეტულად, ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა ფაკულტეტის, მისიას. პროგრამა ორიენტირებულია ბაზარზეც, და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ისტორია არის ფუნდამენტური მეცნიერება და შესაბამისად, ისტორიული პროფილის მქონე სამაგისტრო პროგრამის სწავლების შედეგების გამოყენების თავდაპირველი სფერო უფრო მეტად თეორიულია და არა პრაქტიკული. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ისტორია და, კერძოდ, ეროვნული ისტორია, არის არა მარტო სამეცნიერო დისციპლინა, არამედ კოლექტიური მახსოვრობის ფორმაც, ამიტომ საზოგადობაში მუდმივად არსებობს მოთხოვნილება ისტორიის ცოდნაზე, განსაკუთრებით კი, ეროვნული ისტორიის ცოდნაზე. ასე რომ, პროგრამას ეყოლება სტაბილური კონტიგენტი. ამ კონტიგენტის ზრდა დაკავშირებულია ქართული სახელმწიფოს განმტკიცების და გაძლიერების პროცესთან, აღნიშნული პროცესი ითხოვს სულ უფრო მეტ და მეტ პროფესიონალს, რომელსაც შეეძლება მიმდინარე ვითარების შეფასება და არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით ადექვატური გადაწყვეტილებების მიღება არა ზერელედ, არამედ ქვეყნის ისტორიის ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმება არ გაუჭირდებათ. ფართო კულტურული თვალსაწიერის, კომუნიკაბელური და ეროვნული ისტორიის ღრმად მცოდნე სპეციალისტები, რომელსაც მოამზადებს პროგრამა, დასაქმდებიან ჰუმანიტარული თუ არაჰუმანიტარული პროფილის, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო, დაწესებულებებში.

უფრო კონკრეტულად პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს საქართველოს ისტორიის ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კვლევაზე ორიენტირებული მაგისტრი. ამ მიზანს პროგრამა განახორციელებს:

1. საქართველოს ისტორიის და წყაროთმცოდნეობის დარგში სტუდენტისათვის საგნობრივად სპეციფიკური ცოდნის მიცემით, რაც გულისხმობს ფუნდამენტური **ფაქტობრივი ცოდნის** მიწოდებას;
2. სტუდენტისათვის **კრიტიკული აზროვნების** უნარის განვითარებით, სამეცნიერო პრობლემის, შესაბამისი თეორიული საფუძვლის, წყაროების იდენტიფიკაციის, კვლევის და მიღებული შედეგებიდან შესაბამისი დასკვნების გამოტანის, **ისტორიული რეპრეზენტაციის უნარ-ჩვევების** ჩამოყალიბებით;
3. სამეცნიერო ნაშრომის დაწერის, პრეზენტაციის და ისტორიკოსის პროფესიული საქმიანობისათვის სხვა აუცილებელი **პრაქტიკული ცოდნის** მიწოდებით.

ამ მიზნების განხორციელებას ემსახურება პროგრამის როგორც საერთო დისციპლინები, ასევე ისტორიული პერიოდის მიხედვით სასპეციალიზაციო მოდულები, თითოეულ მოდულის ფარგლებში სტუდენტს მიეწოდება კონკრეტული პერიოდის გაღრმავებული ცოდნა, ხოლო საერთო დისციპლინების ამოცანებია :

1. საქართველოს ისტორიის, როგორც ერთიანი პროცესის, წარმოდგენა;
2. ქართული ისტორიული გამოცდილების მსოფლიო ისტორიის კონტექსტთან დაკავშირება;
3. სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი ცოდნის მიწოდება და მუდმივად პროფესიული სრულყოფის აუცილებლობის ფაქტის წარმოჩენა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

1. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
2. უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B 2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით);
3. სასპეციალიზაციო გამოცდა საქართველოს ისტორიაში.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება: მაგისტრს ექნება საქართველოს ისტორიის კონკრეტული ფაქტების, ისტორიული წყაროების და ისტორიოგრაფიული დისკურსების დეტალური ცოდნა;
სტუდენტი გააცნობიერებს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა თეორიულ საფუძველზე რეპრეზენტაციის შესაძლებლობას და შეძლებს მისი, როგორც ერთიანი პროცესის, მსოფლიო ისტორიის კონტექსტთან დაკავშირებას.
პროგრამის *ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის* და *ახალი და უახლესი საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის* მოდულებიდან მაგისტრანტი ირჩევს ერთ–ერთს და მოდულის სავალდებულო საგნების ბლოკი მაგისტრს აძლევს პერიოდის მიხედვით ნიუანსირებულ ცოდნას საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და კულტურული ისტორიის სფეროში. არჩევითი საგნები მაგისტრს აძლევს ამომწურავ ცოდნას პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით, ცალკეული საუკუნეების ისტორიასა და მის დეტალებზე ფოკუსირებულ ცოდნას.
მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: სტუდენტს ჩამოუყალიბდება კითხვის და წაკითხული მასალის კრიტიკული ანალიზის, ინფორმაციის მოძიების, სამეცნიერო პრობლემის განსაზღვრის, იდენტიფიცირების და კვლევითი ამოცანების გამოკვეთის უნარ-ჩვევები, რომელთა გამოყენებას ის შეძლებს როგორც სამეცნიერო ნაშრომის დაწერისას, ისე სხვადასხვა პრაქტიკული საქმიანობის დროს კონკრეტული ამოცანის შესრულებისას.
მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

დასკვნის უნარი: სტუდენტს განუვითარდება განსხვავებული თვალსაზრისების შედარების, მათი კრიტიკული ანალიზის და ამის საფუძველზე საკუთარი დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარი.

კომუნიკაციის უნარი: პროგრამის ფარგლებში დიდი ადგილი დაეთმობა ცალკეული პრობლემების კოლექტიურ განხილვას, ინტერაქციულ ლექციებს, სტუდენტები ხშირად იმუშავებენ ჯგუფში, ერთობლივ შექმნიან პროექტებს, ჩაატარებენ სამეცნიერო კონფერენციებს, ექნებათ საქმიანი კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების სტუდენტებთან, პროფესორებთან. აზრთა მუდმივ გაცვლის პირობებში სწავლების შედეგად სტუდენტებს განუვითარდებათ სამეცნიერო სფეროში წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი მშობლიურ და უცხო ენებზე. ამასთან ისინი ჩამოყალიბდებიან საზოგადოდ კომუნიკაბელურ და თვითკრიტიკულ პიროვნებებად, რომელთათვის საზოგადოებასთან ურთიერთობა დაფუძნებული იქნება ურთიერთპატივისცემას და ეთიკურ პრინციპებს.

სწავლის უნარი: სტუდენტებს მუდმივად მოუწევთ ახალი ცოდნის მიღება, უკვე ნაცნობი საკითხების შესახებ ცოდნის აქტუალიზება, მასალის კრიტიკული გააზრება, ახლებური ინტერპრეტაცია და თვისებრივად ახალი მასალის ათვისება. აღნიშნული გარემოება სტუდენტისაგან მოითხოვს სწავლისათვის მუდმივ მზაობას. ამგვარი პროცესი განსაკუთრებით ავითარებს ათვისების უნარს. ამასთან, სწავლის პროცესი დაუკავშირდება შემოქმედებით პროცესს. დასწავლა აღარ იქნება ცოდნის მიღების ერთადერთი გზა. ცოდნის მიღება მოხდება აგრეთვე შემოქმედების პროცესში.

ღირებულებები: მშობლიური ქვეყნის ისტორიის შემეცნება სტუდენტის თვალსაწიერში შემოიყვანს სხვა ერებსაც. დისკურსი მშობლიური ერის შესახებ სხვა არაფერია თუ არა საკუთარ და უცხო ღირებულებათა შედარება. ეს დისკურსი გულისხმობს მიმართებას *სხვებთან*, ანუ სხვადასხვა ღირებულებათა სისტემების ურთიერთშეჯერებას. ამის შედეგად პროგრამის ფარგლებში მუდმივი განხილვის საგანი იქნება ღირებულებები და ნაციონალური თვითიდენტიფიკაცია ღირებულებების მიხედვით. ეს გარემოება ხელს უწყობს და განაპირობებს სტუდენტის ღირებულებათა სისტემის ფორმირებას. მას განუვითარდება მულტიკულტურულ საზოგადოებაში ადაპტაციის უნარი, რადგან გაცნობიერებული ექნება, რომ სხვადასხვა ერთობაში ერთი და იგივე ფაქტები აღიქმება სხვადასხვაგვარად. პროგრამის ფარგლებში სტუდენტი გააცნობიერებს სამეცნიერო კვლევის ეთიკურ პრინციპებს, კონკრეტულად, ისტორიული კვლევის ეთიკის ძირითად პრინციპებს და პოსტულატებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორამატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა – განამატრებითი მეთოდი, და სხვ.) .

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ყველგან, სადაც არსებობს ისტორიკოსის, კონკრეტულად, საქართველოს ისტორიის დარგის სპეციალისტის, სოციალური პროცესების ექსპერტის, აგრეთვე, საზოგადოდ კომუნიკაბელური და ერუდირებული თანამშრომლის საჭიროება, კერძოდ, მან შეუძლია იმუშაოს:

- სასწავლო და კვლევით დაწესებულებაში,
- არქივში,
- მუზეუმში,
- ბიბლიოთეკაში,
- ნებისმიერ ეროვნულ სახელმწიფოებრივ (მათ შორის, სამთავრობო უწყებებში, საელჩოებში და ა.შ.) და საერთაშორისო სტრუქტურაში,
- შეუძლია დასაქმდეს ტურიზმისა და ჟურნალისტიკის სფეროში, შეასრულოს სხვადასხვა (საგაზეთო, საჟურნალო, ტელე და რადიო) რედაქციაში ისტორიკოს-ექსპერტის ფუნქცია,
- იმუშაოს სკოლაში (მასწავლებლის სასერთიფიკეტო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, კანონმდებლობის მიხედვით)

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათ ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი,
სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **მარიამ ჩხარტიშვილი**.

მარიამ ჩხარტიშვულის სამეცნიერო ინტერესების სფეროს შეადგენს საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული პრობლემების კვლევა , ქართული იდენტობის ისტორიის კვლევა
(პროფესორის CV პროგრამას ერთვის).

საკონტაქტო მონაცემები:
599 71 40 15 (მობ.)
237 19 42 (ბინა)
mary.chkhartishvili@gmail.com

სამაგისტრო პროგრამის ასისტენტები

ისტორიის დოქტორი, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათ ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი **აპოლონ თაბუაშვილი**

საკონტაქტო მონაცემები:

599588168;

apolon.tabuashvili@gmail.com

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათ ფაკულტეტის დოქტორანტი **ნატო სონღულაშვილი**

საკონტაქტო მონაცემები:

598331430(მობ.)

227208(ბინა)

nato.songuli@yahoo.com

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

პროგრამაში მონაწილოებენ ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლები :

1. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი **მარიამ ჩხარტიშვილი,**
2. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **მარიამ ლორთქიფანიძე,**
3. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი **თედო დუნდუა**,
4. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი **ვაჟა კიკნაძე**,
5. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **დიმიტრი შველიძე**,
6. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **მიხეილ ბახტაძე**,
7. ისტორიის დოქტორი (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი), ასოცირებული პროფესორი **ანდრო გოგოლაძე,**
8. ისტორიის დოქტორი (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი) ასოცირებული პროფესორი **ჯაბა სამუშია,**
9. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **ნიკო ჯავახიშვილი,**
10. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **გიორგი ოთხმეზური**,
11. ისტორიის დოქტორი (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი), ასისტენტ პროფესორი **ქეთევან ქუთათელაძე,**
12. ისტორიის დოქტორი (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი), ასისტენტ პროფესორი **ქეთევან ნადირიძე,**

13. ისტორიის დოქტორი (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი), ასისტენტ პროფესორი **ბონდო კუპატაძე,**
14. ისტორიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი **აპოლონ თაბუაშვილი**

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების (ლექციები, პრეზენტაციები, კონსულტაციები, სწავლება სამუშაო ჯგუფებში) ჩატარებისათვის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტს აქვს საჭირო ფართი. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ინსტიტუტის კომპიუტერით, ინტერნეტით, აგრეთვე, ინსტიტუტის განკარგულებაში არსებული ბიბლიოთეკით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და უნივერსიტეტის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკებით, უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურს–ცენტრით.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **საქართველოს ისტორია**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა (120 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი **მარიამ ჩხარტიშვილი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011** (უცხოურ ენასთან დაკავშირებით პროგრამაში ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს №122/2011 დადგენილების საფუძველზე)
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის საერთო სავალდებულო კურსები– 20 კრედიტი (ECTS)												
კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა ECTS**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**		**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**			**დასკვნითი გამოცდის ჩაბარება**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი/ლექტორები**
			ლექცია	**სემინარი ჯგუფი / პრაქტიკუმ**	**ლექცია–პრაქტიკუმებისა თვის**	**შუალედური გამოცდის/გამოც**	**დასკვნითი გამოცდის**			**შემოდგომა**	**გაზაფხული**	
1	ქართული იდენტობის ისტორია I	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი
2	ქართული იდენტობის ისტორია II	5	15	30	60	8	9	3	კურსის –"ქართული იდენტობის ისტორია I " – გავლა		II სემ	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი

3	პროფესიული დახელოვნება ისტორიის მეცნიერებაში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II სემ	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი
	საქართველო და გარე სამყარო – ევროპის "შექმნა" და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი თედო დუნდუა
I მოდული: –ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა——— სავალდებულო სასწავლო კურსები – 40 კრედიტი (ECTS)												
1	საქართველო ანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI-ახ. წ. III სს.)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი თედო დუნდუა
2	ანტიკური (ბერძნულ - რომაული) წყაროები საქართველოს შესახებ	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი თედო დუნდუა
3	საქართველოს პოლიტიკური ისტორია გვიანი ანტიკურობიდანახალი დროის დასაწყისამდე I	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი გიორგი ოთხმეზური
4	საქართველოს პოლიტიკური ისტორია გვიანი ანტიკურობიდანახალი დროის დასაწყისამდე II	5	30	15	60	8	9	3	საქართველოს პოლიტიკური ისტორია გვიანი ანტიკურობიდანახალი დროის დასაწყისამდე I – გავლა		II სემ	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი გიორგი ოთხმეზური
5	საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ისტორია (IV-XVIII სს)	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III სემ		ისტორიის დოქტორი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) ასოცირებული

												პროფესორი ანდრო გოგოლაძე
6	ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქართული ნარატიული წყაროები (”მოქცევაჲ ქართლისაჲ” და “ქართლის ცხოვრება”)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II სემ	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარიამ ლორთქიფანიძე
7	შუა საუკუნეების ქართული დიპლომატიკა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II სემ	ისტორიის დოქტორი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) ასოცირებული პროფესორი ანდრო გოგოლაძე
8	საქართველოს ისტორიის წყაროები: მოძიება, შენახვა, კვლევა პრაქტიკა (ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა)	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II სემ	
II მოდული: –ახალი და უახლესი პერიოდის საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა——— სავალდებულო სასწავლო კურსები – 40 კრედიტი (ECTS)												
1	საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ისტორია (XIX-XXსს)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II სემ	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი
2	საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია (1811-1917 წწ.) და რელიგიური კონფესიები XIX-XX ს. დასაწყისის საქართველოში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი ვაჟა კიკნაძე
3	XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის წყაროები და	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

	ისტორიოგრაფია											ასოცირებული პროფესორი დიმიტრი შველიძე
4	XX–XXI საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროები და ისტორიოგრაფია	5	30	15	60	8	9	3	XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის წყაროები და ისტორიოგრაფია		II სემ	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი დიმიტრი შველიძე
6	საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა (XIX-XX საუკუნეებში)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III სემ		ისტორიის დოქტორი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) ასისტენტ პროფესორი ბონდო კუპატაძე
6	ნაციის და ნაციონალიზმის ფენომენები თანამედროვე დასავლურ დისკურსში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი
7	საქართველო და დასავლეთი (XIX-XXI სს)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი დიმიტრი შველიძე
8	საქართველოს ისტორიის წყაროები: მოძიება, შენახვა, კვლევა პრაქტიკა (ახალი და უახლესი პერიოდის საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა)	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II სემ	
არჩევითი სასწავლო კურსები პირველი მოდულისთვის – 30 კრედიტი (ECTS)												
1	სამონეტო საქმე და ფულის მომოქცევა ანტიკური ხანის საქართველოში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II სემ	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი თეიდო დუნდუა

2	ქართული დიპლომატიის ისტორია IV-XVIII სს	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III სემ		ისტორიის დოქტორი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) ასოცირებული პროფესორი ჯაბა სამუშია
3	საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა უძველესი დროიდან მე–18 საუკუნემდე (ჩათვლით)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე
4	საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა IV-XV საუკუნეებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II სემ	ისტორიის დოქტორი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) ასოცირებული პროფესორი ჯაბა სამუშია
5	შუა საუკუნეებისსაქართველოს ისტორიის ეპიგრაფიკული წყაროები	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი გიორგი ოთხმეზური
6	საქართველოს ფეოდალური საგვარეულობების ისტორია	**5**	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე
7	ძველი ქართული საერო და საეკლესიო სამართლის ძეგლები	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III სემ		ისტორიის დოქტორი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი)

												ასოცირებული პროფესორი ანდრო გოგოლაძე
8	ქალაქები შუა საუკუნეების საქართველოში, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში (შედარებითი პერსპექტივა)	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I სემ		ისტორიის დოქტორი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) ასისტენტ პროფესორი ქეთევან ნადირაძე
9	საქართველო, ევროპა და მონღოლები (მე-13-14 სს)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი ვაჟა კიკნაძე
10	საქართველო და ქართველები სომხური თხრობითი წყაროების მიხედვით (V-XVIII სს)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II სემ	ისტორიის დოქტორი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) ასისტენტ პროფესორი ქეთევან ქუთათელაძე
11	საქართველოსა და ევროპის ქვეყნების ურთიერთობა ჯვაროსნების ხანაში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I სემ		ისტორიის დოქტორი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) ასოცირებული პროფესორი ანდრო გოგოლაძე
	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	x	x	ენების ცენტრის მასწავლებელი
	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)2	5		60	45	8	10	2	უცხოური ენა 1/ ტესტი	x	x	ენების ცენტრის მასწავლებელი

არჩევითი სასწავლო კურსები მეორე მოდულისთვის – 30 კრედიტი (ECTS)												
1	ქართული ინტელექტუალიზმის ისტორია (საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები და თეორიები XIX –XXI სს-ს საქართველოში)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II სემ	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი დიმიტრი შველიძე
2	ქართული პოლიტიკური აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს (ილია ჭავჭავაძე, ნოე ჟორდანია, არჩილ ჯორჯაძე, იოსებ ჯუღაშვილი)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I სემ		ისტორიისმეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი
3	პოლიტიკური პარტიების ისტორია საქართველოში (XIX საუკუნის დასასრული – XXI საუკუნის დამდეგი)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი დიმიტრი შველიძე
4	საქართველო საერთაშორისო პოლიტიკაში (1907- 1922 წწ)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი
5	ისტორიული მეცნიერების განვითარება XIX ს. საქართველოში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III სემ		ისტორიის დოქტორი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) ასისტენტ პროფესორი ქეთევან ნადირაძე

6	ქართული იდენტობის წრთობის პროცესი და სომხური ფაქტორი	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III სემ		ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი
7	მოდერნული ელემენტები გვიანფეოდალური ხანის ქართულ სახელმწიფოებრივ მმართველობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I სემ		ისტორიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი აპოლონ თაბუაშვილი
8	დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II სემ	ისტორიის დოქტორი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) ასისტენტ პროფესორი ბონდო კუპატაძე
9	საქართველო საბჭოთა იმპერიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I სემ		ისტორიის დოქტორი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) ასისტენტ პროფესორი ბონდო კუპატაძე
10	ქართული ემიგრაციისა და დიასპორების ისტორია ((XIX-XX სს)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III სემ		ისტორიის დოქტორი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) ასისტენტ პროფესორი ბონდო კუპატაძე
11	ქართული დიპლომატიის ისტორია (XIX-XXI სს)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II სემ	ისტორიის დოქტორი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) ასოცირებული პროფესორი ჯაბა სამუშია
	უცხოური ენა	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	x	x	ენების ცენტრის

	(ინგლისური/გერმანული/ფრანგული)1											მასწავლებელი
	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)2	5		60	45	8	10	2	უცხოური ენა 1/ ტესტი	x	x	ენების ცენტრის მასწავლებელი
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**									IV	

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა ——————————————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——————————————————————————————————————

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

თარიღი ——————————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი